



# **PARTNERSHIP FUND**

სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ  
ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

**ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა**

ავტომანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება  
CPV – 50110000

ქ. თბილისი, 2017 წელი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ----- 3 გვ.
2. ტექნიკური დავალება ----- 5 გვ.
3. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები ----- 5 გვ.
4. დანართი 1 - რეკვიზიტების საილუსტრაციო ფორმა ----- 8 გვ.
5. დანართი 2 - ფასების ცხრილი ----- 9 გვ.
6. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ----- 10 გვ.

## ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეობისათვის

ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა);

2. სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

3. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

4. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

5. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.

6. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

7. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

8. სატენდერო წინადადება, ასევე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

9. ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა არ არის დაშვებული.

10. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ შემსყიდველისათვის პირობების გაუმჯობესების კუთხით.

11. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

ნათია ოდიშარია

ტელ: 577 42 99 55

ელ. ფოსტა: [nodisharia@fund.ge](mailto:nodisharia@fund.ge)

## ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტია სს „საპარტნიორო ფონდის“ ბალანსზე რიცხული ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება სათადარიგო ნაწილებით.

ავტომანქანა - MERCEDES BENZ S 500, გამოშვების წელი - 2010.

დაფინანსების წყარო – სს „საპარტნიორო ფონდის“ საკუთარი შემოსავლები.

პრეისკურანტის საორიენტაციო ღირებულება - 229 330 (ორასოცდაცხრა ათას სამასოცდაათი) ლარი.

შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება - 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

მომსახურების გაწევის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით,

### მომსახურების გაწევის პირობები:

✓ მომსახურების ან/და შეცვლილი ნაწილის წუნდების აღმოჩენის ან/და არასწორი შეცვლის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით;

✓ სათადარიგო ნაწილები უნდა იყოს ახალი (არამეორადი);

✓ გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ ნაწილებზე საგარანტიო ვადა უნდა იყოს მინიმუმ 2 (ორი) წელი;

✓ პრეტენდენტს უნდა ქონდეს მინიმუმ ერთი მოქმედი სერვისცენტრი ქ. თბილისში, ერთდროულად არანაკლებ 3 (სამი) მანქანის მომსახურების საშუალებით, რომელიც დაკომპლექტებული უნდა იყოს კვალიფიციური (სერტიფიცირებული) კადრებით და აღჭურვილი თანამედროვე აპარატურითა და დანადგარებით;

✓ პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების გაწევის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება.

### პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

1. პრეტენდენტის რეკვიზიტები (დანართი N1-ს მიხედვით);

2. ფასების ცხრილი (დანართი N2-ს შესაბამისად);

3. პრეისკურანტის განფასების ცხრილი (დანართი N3-ის შესაბამისად) წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დისკვალიფიცირებული იქნება სატენდერო პროცედურებიდან;

4. ინფორმაცია პრეტენდენტის სარგებლობაში არსებული ავტოტექნომსახურების სერვის ცენტრ(ებ)ის შესახებ მისამართ(ებ)ის მითითებით;

5. ინფორმაცია პრეტენდენტის შრომითი რესურსების შესახებ (პერსონალის სერტიფიკატების ჩათვლით); დოკუმენტის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მას უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი;

6. ინფორმაცია პრეტენდენტის სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ;

7. ინფორმაცია შეცვლილ დეტალზე ან მომსახურებაზე საგარანტიო ვადების შესახებ;

8. ინფორმაცია ანალოგიური გამოცდილების შესახებ. წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნულის დამადასტურებელი ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები ან/და სხვა დოკუმენტები.

#### **ანგარიშსწორების პირობები:**

ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მომსახურების გაწევის შემდეგ.

საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

#### **ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს:**

✓ ელექტრონული ვაჭრობა განხორციელდება პრეისკურანტის ჯამურ ღირებულებაზე, ფასის კლების პრინციპით;

✓ ფასის კლება განხორციელდება პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში, რომელიც განისაზღვრება 229 330 (ორასოცდაცხრა ათას სამასოცდაათი) ლარით;

✓ შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ პრეისკურანტის ფასსა და ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულ პრეისკურანტის საბოლოო ფასს შორის სხვაობა პროპორციულად უნდა აისახოს პრეისკურანტის შემადგენელი თითოეული ერთეულის ღირებულებაზე;

✓ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ პრეისკურანტში შემოთავაზებული ღირებულებები არ უნდა აღემატებოდეს მომსახურების პრეისკურანტში (დანართი 3) შესაბამის პოზიციებზე დაფიქსირებულ სავარაუდო ღირებულებებს;

✓ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ პრეისკურანტში რომელიმე განუფასებელი პოზიციის არსებობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული პოზიციით

გათვალისწინებულ მომსახურებას, სათადარიგო ნაწილს ან/და საცხებ-საპოხ მასალას პრეტენდენტი შემსყიდველს თავაზობს უფასოდ;

✓ გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდება 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ფარგლებში და მოიცავს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის საჭიროებისამებრ მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურებების ღირებულებათა ჯამს. შესაბამისად, შემსყიდველი იხსნის სახელშეკრულებო თანხის სრულად ათვისების ვალდებულებას;

✓ გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების/საქონლის რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ობიექტის ერთეულის ფასი, მისი შესყიდვის აუცილებლობისას დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, პრეისკურანტში მომსახურების/საქონლის რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს;

✓ მომსახურების გაწევის პროცესში მიმწოდებლის ბრალეულობით ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიყენებული ნებისმიერი ზიანის აღმოფხვრის ხარჯები უნდა ანაზღაურდეს მიმწოდებლის მიერ.

✓ იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტს მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება, რომელიც შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ან/და ანგარიშ-ფაქტურით (ინვოისით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. აღნიშნული დოკუმენტების წარმოსადგენად პრეტენდენტს განესაზღვრება გონივრული ვადა, არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელის ხელმოწერა, ბეჭედი \_\_\_\_\_



ფასების ცხრილი

| N | დასახელება          | გამოშვების წელი | პრეისკურანტის ფასი | სახელშეკრულეზო ღირებულება | მომსახურების გაწევის ადგილი | მომსახურების გაწევის ვადა |
|---|---------------------|-----------------|--------------------|---------------------------|-----------------------------|---------------------------|
| 1 | MERCEDES BENZ S 500 | 2010            |                    |                           |                             |                           |

შენიშვნა:

- სატენდერო წინადადების ფასი უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან და მონტაჟთან დაკავშირებულ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს.
- თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი სატენდერო წინადადება წარმოადგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (პრეტენდენტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს რის საფუძველზე არ ითვლება დღგ-ს გადამხდელად).
- პროდუქციის ერთეულის ფასსა და საერთო ფასს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროდუქციის ერთეულის ფასს.

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი \_\_\_\_\_

## ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვის შესახებ

\_\_\_ 2017 წელი

ქ.თბილისი

ერთის მხრივ სს „საპარტნიორო ფონდი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის ნათელა თურნავას სახით და მეორეს მხრივ \_\_\_\_\_ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი \_\_\_\_\_ სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA \_\_\_\_\_) გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დანართი 1-ში მითითებული ავტოტექნომომსახურების შესყიდვა, მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები და საწვავ-საპოხი მასალა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (CPV 50110000).

### 3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ახორციელებს ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებას დანართი 1-ში მითითებული ფასების მიხედვით.

3.2. მომსახურების გაწევის ადგილი - მიმწოდებლის სერვის-ცენტრები.

3.3. ავტოტექნომომსახურების გაწევის საფუძველია შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი შეტყობინება, შესაძლებელია ელექტრონული ფორმით.

3.4. მომსახურების გაწევის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### **4. სახელშეკრულებო ღირებულება**

4.1. საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

#### **5. ანგარიშსწორების პირობები**

5.1. მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, „მიმწოდებლის“ მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;

5.3. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

5.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, 5.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

#### **6. ხარისხი**

6.1. მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების პირობებს.

#### **7. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

7.1.2. განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, უხარისხო (წუნდებული) ან არასრული მოცულობით გაწეული მომსახურების მიღებაზე;

7.1.3. ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ხარისხის კონტროლი, რისთვისაც შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექსპერტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

7.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1. მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველისათვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა;

7.4.2. უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით;

7.4.3. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების ჩატარების დროს.

## **8. ინსპექტირება**

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად;

8.2. ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს

8.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ ხარისხის კონტროლის ჩატარების შემთხვევაში თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს წერილობით ამის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

## **9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

9.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

9.6. ხელშეკრულება ან მისი რომელიმე დებულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## **10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

10.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით

შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით;

10.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

## **11. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)**

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## **12. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## **13. ხელშეკრულების ვადა**

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს \_\_\_\_\_.

## **14. განსაკუთრებული პირობები**

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;

14.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება „მიმწოდებელს“, ხოლო ორი ინახება

შემსყიდველ ორგანიზაციაში.

## 15. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

სს „საპარტნიორო ფონდი“

ი/მ ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15

ფ/მ ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. N6

ს/კ 404 404 550

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

---

ნათელა თურნავა